სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/73

ქ. თბილისი 27 დეკემბერი 2023

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის №01-05-04/215 დადგენილების, სტუ-ის საარჩევნო კომისიის 2023 წლის 27 დეკემბრის შემაჯამებელი სხდომის №5 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 27 დეკემბრის №01-06-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) თანამდებობის დასაკავებლად 2023 წლის 27 დეკემბერს სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოში (სენატი) ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგების მიხედვით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) თანამდებობაზე დამტკიცებულ იქნეს კარლო კოპალიანი და შეუდგეს უფლებამოსილებას 2024 წლის 20 იანვრიდან;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი **დავით ჯაფარიძე**